ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7824331

ნომერი: AR11130300

თარიღი : 20.02.2026

გაცემის თარიღი : 26.02.2026

გაცნობის თარიღი : 26.02.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N 32 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა რკინიგზა , N 30;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან მაღლაკელიძე პ/ნ 01011084776
- ქ.თბილისი ლიხაურის ქუჩა #13

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 20 კუბ.მ-მდე მოცულობის 10 მ-მდე სიმაღლის და 10 მ-მდე ჩაღრმავების მქონე ნაგებობა დემონტაჟი

მოთხოვნა დაყენებულია ლევან მაღლაკელიძის (პირადი N01011084776), რომლის უფლებამოსილების დასტურადაც წარმოდგენილია შპს „დადიანი ინვესტის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405766381) სახელით გაცემული მინდობილობა, რომელიც არ არის დამოწმებული არც სანოტარო წესით და ასევე არ არის დამოწმებული შპს „დადიანი ინვესტის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405766381) მაიდენტიფიცირებელი უნივერსალური ბეჭდით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების თანახმად.

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ დამატებით წარმოსადგენია:

1. განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე: ინტერაქტიულ რუკაზე განსაზღვრული უნდა იყოს საპროექტო ნაგებობის ზუსტი ტრაექტორია/ადგილმდებარეობა (ან წარმოსადგენია ახალი განცხადება, რომლის მიხედვითაც თავიდანვე ზუსტად იქნება განსაზღვრული ტრაექტორია);
2. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები: მითითებულ ველში წარმოსადგენია მხოლოდ ფოტოსურათები, სადემონტაჟოდ მოთხოვნილი ნაგებობის არეალის ასახვით, მონიშვნით;
3. სადემონტაჟოდ მოთხოვნილი ნაგებობის საკუთრებისა და კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი;
4. არქიტექტურული პროექტი და ტექნოლოგიური სქემა (წარმოსადგენია კარგად აღქმადი და სრულყოფილი პროექტი, თავფურცელით, განმარტებითი ბარათით (ტექნოლოგიური აღწერის, მოწყობილობა-დანადგარის ან/და სისტემის ტექნოლოგიური გადაწყვეტის შესახებ), პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ დამოწმებული/ხელმოწერილი, რეგისტრირებული საკადასტრო საზღვრების და ტერიტორიაზე არსებული სხვა ხაზობრივი ნაგებობების დაფიქსირებით (მათი შესაბამისი საკადასტრო კოდების დაფიქსირებით));
5. შპს „დადიანი ინვესტის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405766381) ხელმძღვანელობაზე / წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ ლევან მაღლაკელიძის (პირადი N01011084776) სახელზე წერილობით გაცემული და სანოტარო წესით ანდა მარწმუნებლის უნივერსალური მაიდენტიფიცირებელი ბეჭდით დამოწმებული მინდობილობა;
6. წერილობით გაცემული და სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა იმ ხაზობრივი ნაგებობის მესაკუთრისა, ვის საკუთრებაში არსებულ ხაზობრივ ნაგებობაზეც უნდა განხორციელდეს სამუშაოები (თანხმობა გაცემული უნდა იქნეს მასზედ, რომ საკითხის განმხილველმა უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ დააკმაყოფილოს შპს „დადიანი ინვესტის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405766381) სახელით წარმოდგენილი NAR11130300 განცხადება და გამოცეს აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი);
7. ხაზობრივი ნაგებობის მესაკუთის უნივერსალური მაიდენტიფიცირებელი ბეჭდით დამოწმებული ის ნახაზი, რომლის მიხედვითაც გაცემული იქნება თანხმობა სამუშაოების განხორციელებაზე.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.